ქალაქ თბილისის მერია

2420080
12/14157437-16
01.07.2014

გიორგი ცაგურია (62001025834),
სოფ. დიღომი

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი #12/14171174-16 წერილის პასუხად სამსახური გაძლევთ რეკომენდაციას ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25^1-ე მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალიწინებული სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად 30 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროთ (წარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებლობის ნებართვა) 15.08.2013წ, #849487 ბრძანებით შეთანხმებული პროექტიდან გადახვევით ქ. თბილისში, სოფ. დიღომში (ნაკვეთის საკადასტრო კოდი #01.72.14.035.629) თქვენი დაკვეთით მიმდინარე მშენებლობაზე შემდეგი დარღვევის გათვალიწინებით:

შენობა–ნაგებობა 1/2

„1–7" ფასადზე: პირველ სართულზე „2–3" მონაკვეთში კარი კედლით გადმოწეულია გარეთ 0,15 მ–ით. „3–4" მონაკვეთში შევსებულია კოლონებს შორის სივრცე და შექმნილია 14 კვ.მ შიდა ფართი. „3–3" ღერძზე გაუქმებულია სვეტი. მეორე სართულზე „2–4" მონაკვეთში შეცვლილია აივნის მოაჯირის მასალა. „2–2" ღერძთან მოწყობილია კარი და დამატებით შექმნილია 3 კვ.მ შიდა ფართი. „3–4" მონაკვეთში ფიქსირდება რიგელი. გაზრდილია პარაპეტის სიმაღლე 0,2 მ–ით.

„7–1" ფასადზე: პირველ სართულზე „5–4" მონკავეთში მოწყობილია საჰაერო. „2–2" და „1–1" ღერძებზე გაუქმებულია კაპიტალური კედლები. მეორე სართულზე აღნიშნულ მონაკვეთში შეცვლილია აივნის ღიობის გაბარიტები და მოაჯირის ნახატი. „4–3" მონაკევთში გაუქმებულია ფრანგული აივანი. ფასადზე გაუქმებულია პარაპეტი, ფიქსირდება სახურავის კედლიდან გადმოსვლა და წყალშემკრები მილები.

„A–D" ფასადზე: მეორე სართულზე „B-D" მონაკვეთში გაუქმებულია კაპიტალური დეკორატიული საჩრდილობელი და „D-D" ღერძთან მოწყობილია ღიობი.

„D–A" ფასადზე: +2,80 ნიშნულზე კედელში ფიქსირდება საჰაერო. აღნიშნულ და „A–D"ფასადებზე პირველ სართულზე შესრულებულია რუსტით ლესვა.

შენობაში შეცვლილია შიდა კიბის კონფიგურაცია. მეორე სართულზე „5–7" მონაკვეთში შენობის გარე პერიმეტრზე მოწყობილია ლითონის მოაჯირები, რითიც შექმნილია 110 კვ.მ ტერასა.

ფასადებზე ნაწილობრივ შეცვლილია ღიობების გაბარიტები, რაოდენობა და მდებარეობა. ასევე შეცვლილია საღებავის ფერები. ნაწილობრივ შეცვლილია ფანჯრების მასალა. კედლების ნაწილზე კერამოგრანიტის ფილებით მოპირკეთების ნაცვლად შელესილი და შეღებილია. შეცვლილია გარე კიბეების რაოდენობა გაბარიტი და ფორმა. ასევე შეცვლილია მათი მოპირკეთების მასალა.

შენობა–ნაგებობა 2/1

„1/1–15/15" ფასადზე: „1/1–2/2" მონაკვეთში შეცვლილია ვიტრაჟის გაბარიტი და ნახატი. აღნიშნული ვიტრაჟის გარშემო გაუქმებულია კაპიტალური დეკორატიული საჩრდილობელი, ხოლო „1/1–1/1" ღერძზე კაპიტალური კედელი. „B/1– B/1" ღერძზე „2/2–2/2" ღერძის გარეთ ასევე გაუქმეულია კედელი და მოწყობილია ბაქანი. „2/2-3/3" მონაკვეთში დამატებით მოწყობლია კარი. „3/3"–13/13" მონაკვეთში კედელზე მოწყობილია თუნუქის ფურცლები. „3/3"–„14/14" მონაკევთში კარს მონაცვლებული აქვს ადგილი. შენობაში „G/1-F-1" მონაკვეთში „14/14–13/13" და „2/2"-"1/1" ღერძებს შორის მოწყობილია 2,60 მ სიმაღლის ხის კონსტრუქციის გადახურვა. „I/1-I/1" ღერძის გარეთ შემცირებულია რენდერით გათვალისწინებული კედლის სიგრძე. „1/1–5/5" მონაკვეთში გაუქმებულია აღნიშნული შენობების დამაკავშირებელი გადახურვა.

„A/1-G/1" ფასადზე კარს მონაცვლებული აქვს ადგილი. შენობაში შეცვლილია გადახურვის კონსტრუქციული სქემა და მასალა.

შეცვლილია ტერიტორიის კეთილმოწყობა.

დამატებით განგიმარტავთ, რომ ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25[1]-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად ,,რეკომენდაციის შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება”.

თბილისის მერია / ქ. თბილისის მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური
ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის
უფროსის პირველი მოადგილე

გურანდა ჯაბუა

KA021700261130113

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0108, გ.ჭანტურიას ქ.12

12 G.Chanturia Str.,0108 Tbilisi,Georgia

N5/10246

20 / მარტი / 2014 წ.

შპს „Forward+“ დირექტორს
ბ-ნ. გ. ცაგურიას

მის. ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N70, ბინა N79

სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ“ განიხილა თქვენი 10.12.2013წ. N47091/ფ განცხადება, ქ. თბილისში, სოფელ დიღომში საკუთრებაში არსებული 2301.0 კვ.მ მიწის ნაკვეთისა (ს/კ N01.72.14.035.629) და მომიჯნავე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 8740.0 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ N01.72.14.035.402) ზღვარზე ავტოსამრეცხაოს შენობის 4,6 მ სიმაღლის კედლისა და 4,0 მ სიმაღლეზე ღიობის აშენებასთან დაკავშირებით თანხმობის გაცემის შესახებ.

გაცნობებთ, რომ სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“ არ არის წინააღმდეგი ქ. თბილისში, სოფელ დიღომში შპს ,,Forward+“-მ საკუთრებაში არსებულ 2301.0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.72.14.035.629) განახორციელოს ავტოსამრეცხაოს შენობის 4,6 მ სიმაღლის კედლის და 4,0 მ სიმაღლეზე ღიობის აშენება.

სააგენტოს თავმჯდომარე

დიმიტრი ქუმსიშვილი

ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ
ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

TBILISI SERVICE CENTER
LEPL "NATIONAL AGENCY OF STATE PROPERTY"